(http://www.

საქართველოს პარლამენტი

სხდომის ოქმი N 69

საქართველოს პარლამენტის დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის სხდომის ოქმი N 69

28 სექტემბერი, 2015 წ. 11[00.] სთ.

პირველი რესპუბლიკის დარბაზი

თბილისი

სხდომას უძღვებოდა: ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი კომისიის, თავმჯდომარე გიორგი ვოლსკი.

სხდომას ესწრებოდნენ:

დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის წევრები - თეიმურაზ ქკუასელი, გუბაზ სანიკიძე, დემურ ბაშელეიშვილი, შალვა კიკნაველიძე, მახირ დარზიევი, მერაბ კაჭახიძე, ანზორ ბოლქვაძე, თეიმურაზ ჩხაიძე,

სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ ირაკლი სესიაშვილი, როლანდ ახალაია, ნუგზარ წიკლაური, დავით დარცმელიძე.

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა საქართველოს პარლამენტის დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის 8 წევრის დასწრებით.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ :

კომიტეტის აპარატის მოხელეები, მასმედიის წარმომადგენლები და მოწვეული სტუმრები.

დღის წესრიგი

სამშვიდობო კონფლიქტების ტრანსფორმაციის პოლიტიკა, სამშვიდობო პროცესის განვითარების პერსპექტივები და გამოწვევები;

საქართველოს ვალდებულებების საკითხები აფხაზეთის მკვიდრთა მიმართ ადამიანის უფლებათა ჭრილში;

მომხსენებელი:

ნინო ციხისთავი-ხუციშვილი - კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის, (ICCN) გამგეობის თავმჯდომარე.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და გააცნო სხდომის დღის წესრიგი. აღნიშნულთან დაკავშირებით კომიტეტის წევრებს შენიშვნები და წინადადებები არ გამოუთქვამთ და კენჭისყრით დაამტკიცეს წარმოდგენილი დღის წესრიგი.

(http://www.
საქართველოს პარლამენტი

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთან დაკავშირებით მოისმინეს **ნინო ციხისთავი-ხუციშვილის მოხსენება, რომლის მიხედვითაც** ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებს ეზღუდებათ გადაადგილების თავისუფლება, რაც ამ პირთა იზოლაციას და მათი პირობების გაუარესებას იწვევს. მომხსენებელმა წამოჭრილი საკითხი განიხილა საერთაშორისო და ადგილობრივი სამართლის კუთხით, ისაუბრა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში არსებული აფხაზური თუ რუსული პასპორტებისა და პირადობის მოწმობების სახეობებზე, რაც გარკვეული თვალსაზრისით ართულებს ოჯახურ კავშირებს და სხვადასხვა ურთიერთობებს, ზღუდავს მათ გადაადგილებას მესამე ქვეყნებში და მათ ურთიერთობას დანარჩენ მსოფლიოსთან. მან ინფორმაციასთან ერთად რეკომენდაციებზეც ისაუბრა, რომლებიც არსებული მტკივნეული საკითხის გამოსწორებისთვისაა საჭირო.

ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი კომისიის (http://parliament.ge/ge/saparlamento-saqmianoba/komisiebi-da-sabchoebi-8/teritoriuli-mtlianobis-agdgenis-sakitxta-droebiti-komisia) თავმჯდომარემ, გიორგი ვოლსკიმ განაცხადა, რომ კომისია აგროვებს სამოქალაქო სექტორიდან შემოსულ მოსაზრებებს, წინადადებებსა თუ რეკომენდაციებს, რომელთაც ერთიანი სტრატეგიის ჩამოყალიბებისას გაითვალისწინებენ. მისი განცხადებით ხშირ შემთხვევაში სამართლებრივი ნაწილი, თუნდაც საერთაშორისო ვალდებულებების სფეროდან აღებული, ეჯახება რეალურ პოლიტიკას და რეალურ სიტუაციას. აქედან გამომდინარე წარმოდგენილი წინადადებები, და იდეები ძალიან უნდა დაუახლოვდეს რეალურ პოლიტიკას.

ამ რეალურად შექმნილი ვითარების და საერთაშორისო ვალდებულებების გათვალისწინებით არასამთავრობოთა კვალიფიცირებული გუნდის, მზად ყოფნის შემთხვევაში გიორგი ვოლსკიმ გამოთქვა მზაობა ამ თემაზე კონსულტაციები დასაწყებად. მისი განცხადებით საპარლამენტო კომისია იმისთვის არსებობს, რომ იდეების გენერაცია მოახდინოს და როგორც წინადადება შესთავაზოს ხელისუფლებას, რომელსაც თუნდას სადაზვერვო მონაცემები უფრო მეტი აქვს, ვიდრე პარლამენტს. აქედან გამომდინარე ეს საკითხი ერთი შეხვედრით არ დამთავრდება, ამ თემაზე უნდა გაგრძელდეს შეხვედრები“.

სხდომაში მონაწილეობას იღებდნენ შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის, ასევე სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები.

კომიტეტმა გადაწყვიტა

დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტმა მოისმინა **ნინო ციხისთავი-ხუციშვილის** მოხსენება დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხზე.

სხდომის თავმჯდომარე	თეიმურაზ ჭკუასელი
სხდომის მდივანი	ბექა ბიძინაშვილი

სწრაფი ბმულები
(http://www.
საქართველოს პარლამენტი

ანონსი (http://www.parliament.ge/ge/anonsi)

კონსტიტუცია (http://www.parliament.ge/ge/kanonmdebloba/constitution-of-georgia-68)

დეპუტატების სია (http://www.parliament.ge/ge/parlamentarebi/deputatebis-sia)

ახალი ამბები (http://www.parliament.ge/ge/media/axali-ambebi)

კანონმდებლობა (კანონის ძიება) (http://www.parliament.ge/ge/kanonmdebloba/modzebne-kanonmdebloba)

საჯარო ინფორმაცია (http://www.parliament.ge/ge/sajaro-informacia)

სასარგებლო ბმულები (http://www.parliament.ge/ge/useful-links)

პარლამენტის აპარატი (http://www.parliament.ge/ge/saparlamento-saqmianoba/aparati-9)

ექსკურსია პარლამენტში (http://www.parliament.ge/ge/media/eqskursia-parlamentshi-1)

საკონტაქტო ინფორმაცია (http://www.parliament.ge/ge/contacts)

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი (http://pbo.parliament.ge/ge/)

პარლამენტის ელ. ფოსტა (https://mail.parliament.ge)

(https://www.facebook.com/parliamentgeo?sk=wall) (http://www.youtube.com/user/parliamentgeo) (https://twitter.com/Georgianpar...)